

ინტერვიუ არმაზ მეტრეველთან

ფეიერვერკის ვირტუოზები

თავისუფალი დოქტორი

დიდი ქანუჩარი

ულვაშას მონაგარი

მთავარი რედაქტორი
ტარიელ კინწურაშვილი



**მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მესამე ბურთი.
საფრანგეთი, 1938 წელი.**

დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მომგებიანია თქვენი წარმატებისთვის!

დამფუძნებლები:

კობა ბედოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50
http://bedoidze.site.ge/
ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;
ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com
tariel1981@hotmail.com

შემოდგომის ვირტუოზები

ფეხბურთს წელიწადის ოთხივე დროს თამაშობენ, მაგრამ საფეხბურთო მატჩებით ყველაზე მეტად შემოდგომა და გაზაფხულია დატვირთული. გამონათქვამი არის ასეთი: „წიწილებს შემოდგომაზე დაითვლიანო“, თუმცა ევროპულ საკლუბო ასპარეზს ეს გამონათქვამი უფრო ენაწყლიანად მოერგება თუ შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულს ვახსენებთ, რადგან ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაზაფხულზე იმართება, წელიწადის ამ დროს ტარდება ევროპის ლიგის ფინალი და ყველა წამყვანი ევროპული საფეხბურთო ქვეყნის პირველობაზეც ჩემპიონი გუნდის ვინაობა გაზაფხულზე ხდება ცნობილი...

საფეხბურთო გაგებით ზაფხულის მთავარი სილამაზე სანაკრებო ტურნირების არსებობით გამოიხატება. მათ შორის ყველაზე დიდ ინტერესს მსოფლიო ჩემპიონატი იწვევს. ეს დიდებული საფეხბურთო დღესასწაული ოთხ წელიწადში ერთხელ გვეწვევა ხოლმე და სწორედ დამდეგ ზაფხულს გაიმართება უმთავრესი საფეხბურთო სანახაობა. ეს სანახაობა მხოლოდ ლამაზი და დაძაბული საფეხბურთო მატჩებით არ შემოიფარგლება – მსოფლიო ჩემპიონატი არის უდიდესი ზეიმი, სადაც ფეხბურთის გარდა, არაერთ არასაფეხბურთო წარმოდგენასაც წააწყდება ადამიანის თვალი და ამ წარმოდგენების ყველაზე თვალსაჩინო მომენტები, მატჩების მიმდინარეობისა და დასრულების პროცესში: გულშემატკივრების, ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ემოციური განწყობები, მათი ხასიათების, ვნებების გამოვლინებებია...

ფეხბურთს ზამთარშიც თამაშობენ... ჩვენთან, როდესაც საახალწლო ქეიფების შედეგად მთელი ერი სიმთვრალის ბურუსშია გახვეული, ბრიტანეთში საფეხბურთო მატჩები ტარდება.

ამჟამად გთავაზობთ, საფეხბურთო თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული პერიოდის, ანალიტიკურ რეზიუმეს. შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო იმ კლუბთა სპორტული შესაძლებლობები, რომლებსაც დღევანდელი გადმოსახედიდან ყველაზე მეტი შანსი აქვთ იმისათვის, რათა მიმდინარე საფეხბურთო სეზონი ხელხვავიანად დაასრულონ. შემოდგომის დასასრული სწორედ ის დროა, როდესაც გუნდების თამაშში ისეთი შტრიხები გამოიკვეთება ხოლმე, რომელიც იძლევა გარკვეული ანალიზის საშუალებას. შემოდგომის დასკვნით ეტაპზე შეიძლება გარკვეული პროგნოზების გამოთქმაც... კერძოდ, ესა თუ ის ევროპული წამყვანი კლუბი, როგორი შედეგით შეხვდება გაზაფხულის მიწურულს და ა.შ...

2013 წლის შემოდგომაზე, კატალონიურმა „ბარსელონამ“ და მიუნხენის „ბაიერნმა“ ითამაშეს ფეხბურთი ყველაზე შთამბეჭდავად. ხანდახან ხდება, როცა გუნდი ლამაზად, გამართულად თამაშობს, მაგრამ უიღბლობისა და რიგი სხვა მიზეზების გამო ფეხბურთელთა კარგი ასპარეზობა შედეგებზე ადეკვატურად არ აისახება. აღნიშნული გუნდების შემთხვევაში ეს ნამდვილად არ ითქმის, ვინაიდან მათ მიერ ჩატარებულ შესანიშნავ მატჩებს, შედეგებიც ჩინებული მოჰყვა. „ბარსელონა“ და „ბაიერნი“, როგორც შინაურ პირველობებზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე ბრწყინვალედ ირჯებიან. ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული მიუნხენური გრანდი, რომელმაც წინა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ნახევარფინალიდან სწორედ „ბარსელონა“ გამოთიშა გათამაშებას, წელსაც საუკეთესოდ გამოიყურება და თამაშს თამაშზე იგებს.

ხოსეპ გვარდიოლას ფენომენი ცალკე საუბრის თემაა... ის მართა-

ლია თავის დროზე „ბარსელონაში“ და შემდგომ „ბაიერნშიც“ სრულიად აწყობილ, დალაგებულ გუნდში მივიდა სამუშაოდ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე ამ გუნდს თავისი ხელწერა დაატყო და უფრო შემოქმედებითად აათამაშა... მან „ბარსელონაში“ უამრავი წონადი ტიტული მოიგო, ხოლო ტიტულების მოგებას გერმანიაშიც თუ შეძლებს, ამას დრო გვიჩვენებს – „ბაიერნის“ დღევანდელი თამაშიდან გამომდინარე ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობს. გუნდი ურთიერთკომბინირებულ ასპექტში შარშანდელთან შედარებით უკეთესადაც კი გამოიყურება. გვარდიოლას სასახელოდ ერთის აღნიშვნაც გვმართებს – მან „ბაიერნს“ ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო, ევროპის სუპერ თასი უკვე მოაპოვებინა, თუმცა მისი გაწვრთნილი გუნდის მიერ ნაჩვენებ კარგ შედეგად მარათონული ტურნირის მოგება ჩაითვლება, – ეს როგორც მინიმუმ ბუნდესლიგის ოქროს მედლების დაუფლებაში უნდა გამოვლინდეს, მაქსიმუმი კი ჩემპიონთა ლიგაზე ტრიუმფის გამეორება იქნება.

რაც შეეხება „ბარსელონას“, აქაც იგივეს თქმა შეიძლება რაც ზემოთ გვარდიოლასთან მიმართებაში ავღნიშნე... ხერარდო (ტატა) მარტინოს მოსვლის შემდეგ კატალონიელთა თამაშის სტილმა რაღაც განსხვავებული სტრატეგიული სიღრმეები შეიძინა. „ბარსელონა“ ტაქტიკური გაგებით უფრო გამოუცნობ გუნდად გარდაისახა. გამოვიყენებ იმავე ეპითეტს რაც „ბაიერნის“ თამაშის მისამართით ვახსენე – დიახ „ბარსელონას“ თამაშიც „ბაიერნისა“ არ იყოს, უფრო შემოქმედებითი გახდა. მაგრამ ამ ორი გუნდის პროგრესირების საფუძვლები მხოლოდ ახალი მწვრთნელების ტაქტიკურ განსწავლულობაში არ არის საძიებელი, ეს მეტადრე „ბარსელონას“ შემთხვევაში შეიძლება ითქვას – ეს გუნდები ხომ შარშანაც მშვენივრად თამაშობდნენ... „ბარსელონამ“ სეზონის ლამის ნახევარი მთავარი მწვრთნელის გარეშე ჩაატარა და მიუხედავად ამისა ესპანეთის ჩემპიონატი საუცხოო დამაჯერებლობით მოიგო, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავიდა, თუმცა როგორც ავღნიშნე, მიუნხენის „ბაიერნთან“ დამარცხდა, თან ორი მატჩის ჯამში შვიდი უპასუხო ბურთი მიიღო საკუთარ კარში. სწორედ იმ მატჩებში გამოჩნდა თვალნათლივ, რომ კატალონიელებს რაღაც აკლდათ წარმატების მისაღწევად. ბურთის გამუდმებულ კონტროლს ვეღარ მოჰქონდა შედეგი და უნდა ითქვას ბურთსაც ვეღარ აკონტროლებდნენ ჩვეულად. მიუნხენის „ბაიერნისნაირ“ მოტივირებულ, საათივით აწყობილ გუნდთან თამაშისას, რაღაც ახალის მოგონება იყო საჭირო, მაგრამ ბარსელონელებმა აღნიშნულ ორ რაუნდიან მატჩებში ვერავითარი ნოვატორული ქმედებებით ვერ დაგვამახსოვრეს თავი.

სიახლე მარტინოს მოსვლის შემდეგ დაინერგა გუნდში და ამაში გუნდის ხელმძღვანელების სატრანსფერო პოლიტიკამ შეიტანა უდიდესი წვლილი. „ბარსელონამ“ ბრაზილიელი ნეიმარის სახით ზუსტად ის ფეხბურთელი შეიძინა, რომელიც ყველაზე მეტად გამოადგებოდა გუნდს და ახალ სულისკვეთებას, ძალას შემატებდა თანაგუნდელებს. მათ დაიმატეს მოთამაშე, რომელიც პოტენციურად მომავლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და რომელმაც საკუთარი შესაძლებლობები კონფედერაციის თასის ფინალში, იგივე „ბარსელონას“ ფეხბურთელებსაც დაუმტკიცა.

ნეიმარი მშვენივრად შეეწყო გუნდს. მან მნიშვნელოვანი გოლების გატანაც შეძლო – მის მიერ მადრიდის „ატლეტიკოს“ კარში გატანილმა გოლმა „ბარსას“ ესპანეთის სუპერ თასი მოაგებინა. ნეიმარმა მეორე მადრიდული გუნდიც არ დაინდო და თავის პირველ კლასიკოში სამეფო კლუბს შესანიშნავი დარტყმით ლამაზი გოლი გაუტანა.

ბრაზილიელის სახით მარტინოს დიდი კოზირი უპყრია ხელთ. თამაშის დროს მესისა და ნეიმარის ურთიერთშეთანხმებული მაღალი დონის საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე, სხვა ფეხბურთელებსაც უფრო მეტი გასაქანი ეძლევათ. არგენტინულ-ბრაზილიური დუეტის ვირტუოზული მოქმედებები ტატა მარტინოსაც მრავალფეროვანი სტრატეგიული ვარიანტების განხორციელების საშუალებას აძლევს.

მოკლედ შემოდგომის გადასახედიდან – საგაზაფხულო წიწილების დამთვლელ, უმთავრეს გუნდებად „ბარსელონა“ და „ბაიერნი“ შეგვიძლია დავასახელოთ, თუმც სხვა გუნდების დავიწყებაც არ შეიძლება. როგორც ავღნიშნე ეს ორი გუნდი დღესდღეობით სხვებზე უკეთ გამოიყურება! მაგრამ: მადრიდის „რეალი“, დორტმუნდის „ბორუსია“, ლონდონის „ჩელსი“, პარიზის „პარი სენ ჟერმენი“ და კიდევ არაერთი კლუბი თამაშობს ძლიერად – რაც მთავარია ევროპაში კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბები კიდევ არიან და შინაურ პირველობებზე, ევროპის ლიგაზე და რაღა თქმა უნდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, ბევრი დაძაბული, უშეღავათო ორთაბრძოლა გველოდება წინ. ჩვენ კი მსოფლიო ჩემპიონატის დამდეგს უკვე გვეცოდინება თუ სად მოიყრის თავს ყველაზე ბევრი საგაზაფხულო წიწილა...

ვარსკვლავები

ჩემპიონთა ლიდერები

ერთ წელზე ნაკლები რჩება მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატის დაწყებამდე. გვსურს წარმოგიდგინოთ მსოფლიო ჩემპიონი ქვეყნების წამყვანი ფეხბურთელები - რამეთუ მომავალი მუნდიალის მთავარ ფავორიტებად, კვლავაც ამ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებები ითვლებიან. ორიოდ სიტყვით ამ მოთამაშეების გამორჩეულ ძლიერ თვისებებსაც გავუსვათ ხაზი...

ნეიმარი (ბრაზილია) - სწრაფი, ტექნიკური, შესანიშნავი დრიბლინგების განმხორციელებელი, შეტევის ორგანიზატორი, საჯარიმო დარტყმების კარგად შემსრულებელი.

მარიო ბალოტელი (იტალია) - ფიზიკურად ძლიერი, საჯარიმო ზონაში ძალზე სახიფათო, ძლიერი დარტყმის პატრონი, მოედანზე მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიმღები.

თომას მიულერი (გერმანია) - კოლექტივიზმის შესანიშნავი გრძნობა, გადამწყვეტ თამაშებში განსაკუთრებულად ძლიერი თამაში, გოლის გატანის ბრწყინვალე ალღო.

ლიონელ მესი (არგენტინა) - ბრწყინვალე დრიბლინგების შემსრულებელი, ბომბარდირული თვისებებით დაჯილდოებული, სწრაფი, ტექნიკური, ქარიზმატული.

ედისონ კავანი (ურუგვაი) - შთამბეჭდავი გოლების გატანით გამორჩეული, ფიზიკურად კარგად მომზადებული, სტანდარტულ მდგომარეობებს იყენებს კარგად, ეხერხება თავით თამაში.

უეინ რუნი (ინგლისი) - ეფექტური გოლების გამტანი, ზუსტი დარტყმებით გამორჩეული, შეუძლია საგოლე პოზიციის კარგად შერჩევა.

ფრენკ რიბერი (საფრანგეთი) - არის „მუშა“ ფეხბურთელი, ბევრს დარბის, შეუძლია შეტევის წამოწყებაც და მისი დაგვირგვინებაც.

ანდრეს ინიესტა (ესპანეთი) - ტექნიკური, გადამწყვეტი გოლების გატანით ცნობილი, აქვს ბურთის ფლობის საუცხოო უნარი, იცის ზუსტი პასების შესრულება.

ტარიელ კინწურაშვილის მოთხრობებისა და ლექსების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: http://dspace.nplg.gov.ge/.

ინტერვიუ

ფილადელფიელები ოცნებობენ და ფფასობენ ჩვენს ფეხბურთს

ინტერვიუ არმაზ მეტრეველთან



ცნობილი სპორტული ჟურნალისტი არმაზ მეტრეველი კარგა ხანია, აღარ გამოჩენილა ტელევიზიით, ის უკვე ათი წელია, საქართველოშიც აღარ ცხოვრობს. ჩვენ დავინტერესდით მისი ამჟამინდელი საქმიანობით და დავუკავშირდით შოტლანდიაში.

იგი გვესაუბრა თავის სამსახურზე, სამომავლო გეგმებზე, ასევე, იმ ქვეყანაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს და, ზოგადად, ფეხბურთზე.

– დიდი ხანია არ გამოჩენილხართ ტელევიზიით – თქვენი ხმა აღარ გაუგიათ ქართველ ფეხბურთის ქომაგებს. გვითხარით რას საქმიანობთ, ისევ სპორტული პროფილით ხართ დაკავებული?

– პირველ რიგში, გულრწფელად მივესალმები ახალი საფეხბურთო ჟურნალის დაარსებას. ქართულ სპორტულ პრესაში სწრაფად დამკვიდრებას გისურვებთ. იმედია, ბევრი სხვა გამოცემისგან განსხვავებით ეს იქნება არა მოკლევადიანი, არამედ მრავალწლიანი წარმატებული პროექტი. დიდი მადლობა რომ გაგახსენდით. უკვე ათი წელია შოტლანდიაში ვარ და პირველ წლებში უფრო აქტიურად ვიყავი ჩართული საფეხბურთო ცხოვრებაში. გავიარე ინტენსიური სამწვრთნელო კურსები შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში და ვმუშაობდი როგორც სამოყვარულო, ასევე ბავშვთა ფეხბურთში. შემდეგ მივხვდი რომ პრაქტიკული სამწვრთნელო საქმიანობა არ იყო ჩემი მოწოდება – მიუხედავად იმისა რომ ძალიან ვაფასებ იმ თეორიულ და სხვათა შორის, პრაქტიკულ ცოდნასაც, რაც აქაურ სპეციალისტებთან რამდენიმეწლიანი მუშაობით შევიძინე. თუმცა უკვე ხუთ წელიწადზე მეტია ფეხბურთთან პირდაპირი შეხება არ მქონია, რადგან 2008 წლიდან WILLIAM HILL-ში ვმუშაობ.

– დიდი მადლობა კეთილი სიტყვებისთვის. მომავალში გეგმავთ თუ არა, რომ დაუბრუნდეთ სპორტულ ჟურნალისტიკას?

– არ მაქვს მსგავსი გეგმები, მაგრამ გადაჭრით ვერ იტყვი კაცი, რა იქნება მომავალში. თუ სერიოზული წინადადება იქნება რატომაც არა, არაფერს გამოვრიცხავ.

– პირადად მე თქვენს მიერ წაყვანილი საფეხბურთო რეპორტაჟებიდან – გამორჩეულად მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩი მახსენდება. მაშინ მსოფლიო პირველობას ორმა ქვეყანამ უმასპინძლა და "ადიდასმა" ტრადიციული ოცი ტრიადით გაწყობილი ბურთის მაგივრად განსხვავებული დიზაინის მრგვალი სფერო შემოგვთავაზა. თქვენი აზრით კიდევ რით იყო განსაკუთრებული და რა ნოვატორული სიახლეები შესძინა მსოფლიო ფეხბურთს აღნიშნულმა მუნდიალმა?

– მთავარი მახასიათებელი ამ პირველობის ალბათ ის იყო, რომ გუნდების საერთო ძალის გათანაბრების ტენდენცია გამოიკვეთა. იგივე თურქეთისა და სამხრეთ კორეის გუნდების წარმატება, დიდი სტიმული გახდა ნებისმიერი არაფავორიტი ქვეყნისათვის. თუმცა, ამით წინა, საფრანგეთში ჩატარებული ჩემპიონატიც გამოირჩეოდა, როდესაც პატარა ხორვატიის არაჩვეულებრივმა ნაკრებმა შესანიშნავი თამაშით უამრავი გულშემატკივრის დიდი სიმპატია დაიმსახურა. 2002-ის პირველობა, ჩემთვის პირადად არაჩვეულებრივი მასპინძლობით იყო გამორჩეული, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით რაიმე ნოვაციასთან გვქონდა საქმე.

– ქართული ფეხბურთის განვითარების თქვენეული ხედვა როგორია – თქვენი აზრით რა იქნებოდა ყველაზე ეფექტური ქმედება იმისათვის, რომ ჩვენი ფეხბურთი მოკლე ვადებში წელში გაიმართოს.

– ვშიშობ, ვერ ვიქნები ორიგინალური. ფეხბურთის განვითარებას სჭირდება ინფრასტრუქტურა, სტადიონები, ბაზები, მოედნები. ჩვენი პირველობის თამაშებს რომ აყურებინო ნებისმიერი ევროპული ქვეყნის გულშემატკივარს, პირველი გრძნობა, რაც ალბათ მას გაუჩნდება იქნება - თანაგრძნობა ან სიბრალული. როდესაც ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლიაციის დროს ხალხით სავსე ტრიბუნებს ,,ბროვკის" გაჭიმული ბადე ანაცვლებს, თამაშის ყურება მიუჩვეველი თვალისთვის ძალიან ძნელია, თუკი იქ ბურთს ინიესტა ან მესი არ აგორებს. არ იქნება ინფრასტრუქტურა - არ გვექნება ჩვენი ამბიციების შესატყვისი ფეხბურთი. სხვათა შორის, ამ ბოლო წლებში ბავშვთა ფეხბურთის ინფრასტრუქტურა შედარებით მოწესრიგდა და ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წარმატებებიც სწორედ მათ გაუმჯობესებულ პირობებს უკავშირდება. ფეხბურთში ჩართული ბიზნესისთვის საგადასახადო სტიმულირება ინფრასტრუქტურის შექმნის ერთადერთ გზად მიმაჩნია. ჩვენს ჩემპიონატს ჰაერივით სჭირდება 10-15 ათასიანი, კოხტა, წმინდა საფეხბურთო სტადიონები ყველა საფეხბურთო ცენტრში

– შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ჯერ კიდევ 1873 წელს შეიქმნა. ამ რამდენიმე წლის წინ კი საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიის ნაკრები მათთვის პრინციპულ შეხვედრაში დაამარცხა. ჩვენმა 21 წლამდელთა ნაკრებმაც მოუგო შოტლანდიელ თანატოლებს. როგორი აზრის არიან შოტლანდიაში ჩვენს ფეხბურთზე და სრულიად საქართველოზე?

– ერთ შემთხვევას მოგიყვე-

ბით: ჩემი მენტორი მწვრთნელთა კურსებზე პიტერ ჰიუსთონი იყო, შემდგომში „დანდი იუნაიტედის“ მწვრთნელი. როდესაც ჩემი გვარი გაიგო, მკითხა: სლავა მეტრეველი ცოცხალიაო?! გაოცება რომ შემამჩნია, დაამატა: მე ალექსანდრე მეტრეველის და ილიე ნასტასეს ფანი ვიყავი, როდესაც წყვილებში ერთად თამაშობდნენო. ოღონდ, მაშინ სლავა და ალექსანდე მეტრეველები რუსები მეგონენ, სახელები ხომ რუსულიაო... შოთა, ქეცბა, ხიზანა და ნემსო, რა თქმა უნდა კარგად ახსოვთ – გიო ქინქლაძეზე კი დღესაც აღფრთოვანებით საუბრობენ. ჩვენი ასაკობრივი გუნდებიც, როგორც წესი, შოტლანდიელ თანატოლებთან წარმატებულად თამაშობენ. სამიოდე წლის წინ, გიორგი დევდარიანის გუნდმა, აქ კირკალდიში 2-1 მოუგო შოტლანდიელებს და დღესაც თვალწინ მიდგას სხირტლაძისა და ჭანტურიას საუცხოო გოლები.

როდესაც ტოპმიოლერის დროს, ჩვენმა ნახევრად ახალგაზრდულმა გუნდმა თბილისში შოტლანდიას 2-0 მოუგო გემახსოვრებათ. იმ დღეს ჯაბა კანკავამ ამათი კერპი, ბარი ფერგიუსონი პირწმინდად დაჯაბნა და მეორე დღეს მთელი შოტლანდია შოკში იყო, რადგან ამ წაგებით ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგეს. არადა მანამდე, საფრანგეთს მოუგეს სახლშიც და გარეთაც. ჰოდა, დილით სამსახურში ყველა საშინელ ხასიათზე, ცხვირჩამოშვებული დამხვდა: ,,გაიღიმე, დღეს შენ ერთადერთი კაცი ხარ, ვისაც ღიმილის უფლება აქვსო." მოკლედ, შოტლანდიელები იცნობენ და აფასებენ ჩვენს ფეხბურთს. ისინი ძალიან განიცდიან თავიანთ დღევანდელ მდგომარეობას და ჩვენი არ იყოს, მისტირიან წარსულ დიდებას, იმ დროს, როცა „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ შიშის ზარს სცემდა ბევრს და თვით აღიარებულ გრანდებსაც არ ეხალისებოდათ გლაზგოში ჩამოსვლა. როგორც ჩანს, ეროვნული ჩემპიონატის დონის ვარდნა, ბევრი პატარა ქვეყნის ხვედრია. მატჩებზე დასწრების კლება სახეზეა. ტენდენციად იქცა რომ „ნიუკასლის“ სენტ ჯეიმზ პარკის ტრიბუნების დაახლოებით მესამედს დიდ ფეხბურთს მონატრებული შოტლანდიელები ავსებენ. ედინბურგიდან ნიუკასლამდე ხომ სულ საათნახევრის გზაა. ახლაც, ამ შაბათს მეგობრებთან ერთად „ნიუკასლი“ – „ლივერპულის“ თამაშზე მივდივარ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამავე დღეს „ჰიბერნიანი“ იღებს „სელტიკს“ და „ისთერ როუდი ჰიბსის“ არენა ჩემგან სულ ორი წუთის სავალზეა.

კომენტატორების 15 „წვეტიანი“ შრაჯა:

მოედანზე რიცხობრივი უთანასწორობა შეინიშნება – ფეხბურთელები ორი ორზე არიან.

”სელტიკი” ერთ დროს უახლოეს მდევარს ცხრა ქულით უსწრებდა, თუმცა სადღაც გზაზე, გემი რელსებიდან გადავიდა და ყველაფერი უკან–უკან წავიდა.

პროგნოზი არასდროს გამიკეთებია და არც მომავალში გავაკეთებ.

დღეს საღამოს ”ტოტენჰემი” ეცდება პირველი ლონდონური კლუბი გახდეს, რომელიც ინგლისის ასოციაციის თასს მოიპოვებს. ეს პირველად ”ტოტენჰემმა” მოახერხა 1973 წელს.

შეხვედრა თანაბრად, ”არსენალის” უპირატესობით მიმდინარეობს.

”არსენალს” დიდი დრო აქვს იმისათვის, რომ დარჩენილ რამდენიმე წამში მეტოქეს სერიოზული შტურმი მოუწყოს.

განმეორებითმა კადრმა აჩვენა, რომ მოძრაობა გაცილებით უარესია, ვიდრე ის რეალურად მოხდა.

4 წუთია გასული და ანგარიში უკვე 0-0-ია.

რაც ფეხბურთელებს ვუთხარი, იმას რადიოშიც კი ვერ წაიკითხავთ.

ფეხბურთი რომ არა, იმედგაცრუებული ფეხბურთელები ვიქნებოდით.

ეს ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელსაც ტვინი თავში აქვს.

სტივ მაკმანამანი და სტივ ჰაივეი რომ შევადაროთ, საერთოს ვერაფერს ვუპოვით, ერთმანეთს არაფრით ჰგვანან. შემიძლია გითხრათ რატომაც – ისინი ცოტათი განსხვავებულები არიან.

ჯორჯ ბესტთან ერთადერთი რამ მაკავშირებს – ჩვენ ერთსა და იმავე ქალაქში დავიბადეთ, ერთსა და იმავე გუნდში ვთამაშობდით და ერთმა და იმავე ადამიანმა აღმოგვაჩინა.

მან ჰეთ-თრიკი შეასრულა, 2 გოლი გაიტანა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუკი ერთი გუნდი გოლს გაიტანს, მეორეს აუცილებლად ორი დასჭირდება მოსაგებად.

სტრატეგი

ულვაშას მონაგარი

ვისენტე დელ ბოსკემ სამწვრთნელო მოღვაწეობა „რეალის“ კანტერაში დაიწყო. ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში ის დროებით ორჯერ ჩაუდგა პირველ გუნდს, ხოლო 1999 წლიდან 2003 წლამდე მადრიდის „რეალის“ მთავარი დამრიგებელი იყო. სამეფო გუნდმა მის ხელში არაერთი პრესტიჟული ტურნირი მოიგო. ბოსკეს გაწვრთნილმა ფეხბურთელებმა: ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი, ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი, ასევე ევროპისა და ესპანეთის სუპერთასი „დააჭაშნიკეს“.

2003 წელს „რეალის“ ხელმძღვანელობის არასწორად არჩეული კურსის შედეგად, ვისენტე დელ ბოსკეს მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დაატოვებინეს და როგორც შემდგომ აღმოჩნდა მწარედაც შეცდნენ – მისი განთავისუფლების შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ოცდაათ თვეში ხუთი მწვრთნელი გამოცვალა: კარლუშ კეირუში, ხოსე ანტონიო კამაჩო, მარიანო გარსია რემონი, ვანდერლეი ლუშემბურგო და ლოპეს კარო. პერესისთვის და „რეალის“ გულშემატკივრებისთვის სავალალოდ ვერც ერთმა მათგანმა ვერაფერი მოიგო.

2004 წელს დელ ბოსკემ ძალები თურქეთში მოსინჯა – სტამბოლის „ბეშიქთაშს“ ჩაუდგა სათავეში, თუმცა თურქული კლუბისა და ესპანელის თანამშრომლობამ მხოლოდ ექვს თვეს გასტანა, ხოლო სანამ ესპანეთის ნაკრების მესაჭეობა მოუწევდა, საკმაოდ ნაყოფიერად და საინტერესოდ წარმოაჩინა თავი ჟურნალ „დონ ბალონში“. მან არაერთი ყურადსაღები საფეხბურთო სტატია გამოაქვეყნა:“ სრული ვარსკვლავი“, „გასახდელის მართვა“, „უხილავი ვარჯიში“, „შეცვლის გამოწვევა“, „მუშაობის ინდივიდუალიზაცია“...

2008 წელს დელ ბოსკემ ლუის არაგონესისგან ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული სრულიად გამართული გუნდი ჩაიბარა. ჭკვიანმა ვისენტემ კი არაგონესის კურსი გააგრძელა, ნაკრების სერიოზულ გარდაქმნას და ცვლილებებს მოერიდა – „ფურია როხას“ თამაში უფრო განავითარა და საუცხოო შედეგებს მიაღწია. ვისენტე დელ ბოსკე ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხელხვავიანი მწვრთნელი გახდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, „ულვაშამ“ ესპანეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო.



ცნობილთა უცნაური გამონათქვამები

* ზოგიერთი ამბობს, რომ ფეხბურთი ადამიანის სიცოცხლის თანამგზავრია და სიკვდილადაც კი ღირს, მაგრამ მე მაღიზიანებს ეს განცხადება, რადგან ვთვლი, რომ ფეხბურთი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს.

ბილ შენკლი,
ინგლისელი მწვრთნელი

* თუ გუნდს შენი დამარცხება სურს და ამის საშუალებას მისცემ, მაშინ აუცილებლად მოგიგებს.

მია ჰამი,
ამერიკელი ქალი ფეხბურთელი

* ფეხბურთის წესები უმარტივესია, წააქციე მეტოქე თუ მოძრაობს და თუ არ მოძრაობს წააქციე იქამდე, სანამ მოძრაობას დაიწყებდეს.

ფილ ვუსმანი,
უელსელი ფეხბურთელი და მწვრთნელი

* მსოფლიოს ყველა ბავშვი, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, ცდილობს პელე გახდეს, მინდა ვურჩიო მათ, რომ პირველ რიგში არა ფეხბურთელობაზე, არამედ ადამიანობაზე იფიქრონ, ამის სწავლა კი ჩემი აზრით, ნამდვილად შეიძლება.

პელე,

* ჩემი აზრით ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სექსი. არ ვამბობ, რომ სექსი არ მიყვარს, მაგრამ მსოფლიო თასს ხომ ოთხ წელიწადში ერთხელ ვიგებთ.

რონალდო,
ბრაზილიელი ფეხბურთელი

* ეს ღმერთის ხელი იყო.

მარადონა,

* მეკარე საფეხბურთო მოედანზე ყველაზე უსაქმური ადამიანია. მეტოქე გუნდი კი ცდილობს მას რამე გააკეთებინოს და ეს არის თამაშის მთელი აზრი.

ოსკარ უაილდი

* იტალიელებს მეტოქის დამარცხება არ შეუძლიათ, მაგრამ მეტოქეები მათთან სულ ადვილად მარცხდებიან.

იოჰან კრუიფი.

* ზოგი ამბობს, რომ პროფესიონალი ფეხბურთელები მონები არიან, მაგრამ თუ ეს მონობაა, მზად ვარ ნამდვილი ცხოვრება არასდროს ვნახო.

ბობი ჩარლტონი.

* თუ პირველი ხარ, ესე იგი პირველი ხარ, მაგრამ მეორეობა ნიშნავს იმას, რომ არაფერს წარმოადგენ.

ბილ შენკლი.

* შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გყავდეს, ააშენო ყველაზე დიდი სტადიონი, გქონდეს უძვირფასესი ბაზა და მილიარდები ხარჯო მარკეტინგში, მაგრამ თუ მატჩი ვერ მოიგე, ყველას ყველაფერი ავიწყდება და მიაჩნიათ, რომ კრიზისში ხარ.

ჟოზე მაურინიო*

* კონტროლი აუცილებელია. რომ არა ეს მექანიზმი, გასახდელში მყოფი 11 მილიონერი აუცილებლად შეეცდებოდა იმქვეყნად გავესტუმრებინე, მაგრამ ახლა ყველამ იცის, რომ თუ ჩემი კონტროლის ფარგლებს მიღმა გავა, იმქვეყნად თავად გაემგზავრება.

სერ ალექს ფერგიუსონი.

საუკეთესო მეკარეები

ხომის პაპის ჩჩეყლი იეჟი დუდეკი

ვეტერან პოლონელ მეკარეს იეჟი დუდეკს ფეხბურთისადმი სიყვარული 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ნაკრების შესანიშნავმა თამაშმა გაუღვივა. მაშინ ის სულ რაღაც ცხრა წლის იყო და პოლონელი ფეხბურთელების ასპარეზობით, რომლებმაც მაშინ მესამე ადგილი დაიკავეს, იმდენად მოიხიბლა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა მომავალში აუცილებლად ფეხბურთელი გამოსულიყო.

იეჟი დუდეკი 1973 წლის 23 მარტს პოლონეთის პატარა ქალაქ კნურუოვში დაიბადა და მას შემდეგ, რაც სპორტის ნომერ პირველი სახეობის მიმართ ინტერესი გაუჩნდა – მეკარეობა ისურვა. საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელებმაც, როცა გაიგეს იეჟის მშობლები 180 სმ-ზე უფრო მაღლები არიანო, მისი სურვილი დაუკმაყოფილეს. არც შემცდარან, საბოლოოდ დუდეკი 187 სმ-მდე გაიზარდა.

იეჟი 18 წლისა იყო, როცა ადგილობრივ, კნურუოვის „კონკორდიაში“ მიიწვიეს, საიდანაც ოთხი წლის შემდეგ პოლონეთის უმაღლესი ლიგის კლუბ ტიხის „სოკოლში“ გადავიდა. ამ კლუბში მან ძალიან ცოტა ხანი დაჰყო – ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა“ შეიძინა. ამ სახელოვან გუნდში იგი ერთი წლის განმავლობაში ძირითადი მეკარის ედ დე გუის დუბლიორი იყო, მაგრამ მისი ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ დუდეკი როტერდამელთა ძირითადი მეკარე გახდა და „ფეიენოორდის“ რიგებში სტაბილურად ძლიერი თამაშით დაიმკვიდრა ადგილი. 1998-99 წლების სეზონში ის ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერად დაასახელეს.

იეჟი დუდეკის კარგი თამაში ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასაც არ გამორჩენია და 1998 წელს თელ-ავივში მისი სანაკრებო დებიუტი შედგა. მას შემდეგ დუდეკმა არაერთ მატჩში დაიცვა პოლონეთის ნაკრების კარი.

იმ პერიოდში პოლონელი მეკარის ხელში ჩაგდება რამდენიმე სახელოვან კლუბს სურდა, მაგრამ ყველას „ლივერპულმა“ აჯობა. 2001 წლის ზაფხულში ინგლისური კლუბისა და „ფეიენოორდის“ ხელმძღვანელობა ტრანსფერზე მორიგდნენ, „ლივერპულმა“ მეკარეში 4,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა და გუნდში ჩარიცხა ფეხბურთელი, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ „ლივერპულის“ უდიდეს გამარჯვებაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი შეასრულა.

ფეხბურთის მოყვარულებს 2005 წლის 25 მაისს სტამბოლში გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალი არ დაავიწყდებათ. ეს იყო დრამატიზმით აღსავსე მატჩი, სადაც წარმოუდგენელი სცენარით განვითარდა მოვლენები. პირველ ტაიმში „ლივერპულმა“ სამი უპასუხო ბურთი მიიღო „მილანისგან“ საკუთარ კარში და ერთი შეხედვით მეორე ტაიმის ჩატარება ერთგვარ ფორმალობად გადაიქცა. მაგრამ მეორე ტაიმში „ლივერპულმა“ საფეხბურთო სასწაული მოახდინა, ანგარიში გაათანაბრა და მატჩის ძირითადი დრო საბოლოოდ 3:3 დამთავრდა. გამარჯვებული ვერც დამატებულმა ტაიმებმა გამოავლინა – საჭირო გახდა პენალტების სერიის ჩატარება. აქ იეჟი დუდეკი ჩინებულად გაისარჯა და „ლივერპულმა“ პოლონელი მეკარის დახმარებით მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონთა თასი.

2007 წელს დუდეკი მადრიდის „რეალში“ გადავიდა და მის კარიერაში „აქტიური დასვენების“ პერიოდიც დადგა. ის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იკერ კასილიასის დუბლიორი იყო და „რეალის“ შემადგენლობაში მხოლოდ ორი ოფიციალური მატჩი ჩაატარა.

სხვათაშორის 2004 წელს, რომის პაპმა, იოანე პავლე მეორემ, რომელიც ახალგაზრდობაში ფეხბურთის თამაშისას ასევე მეკარე იყო, დუდეკს უთხრა, რომ ის მისი დიდი გულშემატკივარია და მას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ თვლის.

ტიტანები

THE BEST

2005 წლის 25 ნოემბერს 59 წლის ასაკში გარდაიცვალა ყველა დროის საუკეთესო ბრიტანელი ფეხბურთელი – ჩრდილოეთ ირლანდიელი ჯორჯ ბესტი. როდესაც ბესტი ცუდად იყო, გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, პელემ მას გამამხნევებელი შინაარსის წერილი გაუგზავნა, ხოლო წერილს ბოლოში მიაწერა: „მსოფლიოს ყველა დროის მეორე მოთამაშე პელე“. პელემ ამით მის განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი და ბრაზილიელის ამ პათოსს მარადონაც იზიარებს – ისიც აღნიშნავს, რომ ჯორჯი საუკეთესო იყო. მას შეეძლო შესანიშნავი დრიბლინგების განხორციელება, ფლობდა მოთამაშის მოტყუების საოცარ ტექნიკას და გოლის გატანის საუცხოო ალღოც გააჩნდა.

მართლაც ჯორჯ ბესტი ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში, რომ დაბადებულიყო – ისეთში როგორიც არის: ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია და ა.შ... შეიძლებოდა მსოფლიო ფეხბურთში მას ისეთი მწვერვალები დაეპყრო, როგორც ეს პელემ და მარადონამ შეძლეს. მაგრამ ის ჩრდილოეთ ირლანდიელი იყო და მას ნაკრების შემადგენლობაში არც მსოფლიო ჩემპიონატებზე უასპარეზია და არც ევროპის პირველობებზე მიუღია მონაწილეობა. მიუხედავად ამისა ბესტი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში არაერთხელ ავიდა დიდების კვარცხლბეკზე.

ბესტის საფლავის ქვას ასეთი ფრაზა აწერია: „Maradona good; Pele better; George Best”. მართლაც თითქოს სიმბოლურია, რომ მისი გვარი Best საუკეთესოს ნიშნავს. მას „მეხუთე ბიტლზსაც“ ეძახდნენ, რადგან ის ისეთივე პოპულარული იყო როგორც ლივერპულელი ოთხეული. უფრო მეტიც, ჯორჯ ბესტმა ეპოქა შექმნა, ისევე როგორც „ბიტლზმა“ და ამიტომაც მას ეს ფსევდონიმი მიუსადაგეს, ისიც ხომ ლეგენდარული ხოჭოების თანამედროვე იყო.

მეხუთე ბიტლზს სიმღერაც მიუძღვნეს - If God Needs a Hero – “ღმერთს თუ სჭირდება გმირი“. ამ ლამაზ სიმღერას ჯონ ბალარდი და ერიკ ტორნბლომი ასრულებენ.

ეხლა კი დროს ვიხელთებ და ერთსაც ავღნიშნავ: ბესტი მაგარი იყო! არა ამ სიტყვებს დღევანდელ ქართულ ტერმინოლოგიაში ესოდენ „საჭირო“ სიტყვა „ძაან-ძალიან“ უფრო მოუხდებოდა – ბესტი ძალიან მაგარი იყო!

ჯორჯ ბესტს ბოჰემური ცხოვრება უყვარდა. ის ეწეოდა კიდევაც, ალკოჰოლური სასმელების მიღებაზეც არ იძახდა უარს, მაგრამ მაინც საუკეთესო იყო!..

მოდი ეხლა ესე შევხედოთ ამ საკითხს. მას, რომ არ მოეწია, არ დაელია და არგენტინელი ან იტალიელი ყოფილიყო – რამხელა განზომილების მოვლენა იქნებოდა ფეხბურთში?

ყოველივე ამისდა მიუხედავად ის Best-ია - ის საუკეთესოა!

დასასრულ მის ორ ყურადსაღებ ფრაზას მოვიშველიებ:

1) „ჩემი ქონების 90% დავხარჯე ქალებში, სწრაფ მანქანებსა და სასმელში, დანარჩენი კი გავანიავე.“

2) „ნუ მოკვდებით ისე, როგორც მე“. ეს ფრაზა წაწერილია იმ საწოლზე, სადაც ბესტი გარდაიცვალა.

ფერფლად დაბადებული ფენიქსები







იარი ლიტმანენი







ცოტა რამ ფეხბურთის ისტორიიდან

ფეხბურთის სათავეებთან

ბურთით კოლექტიური თამაში აღნიშნულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთსა და იაპონიაში. ფარაონების არსებობის ხანაში ეგვიპტესა და უძველეს სპარსეთში იმართებოდა ბურთით ასპარეზობა. ანტიკურ საბერძნეთში ერთ-ერთი მიმზიდველი და საყვარელი ბურთით გუნდური თამაში გახლდათ „ეპისკიროსი“. რომის იმპერიაში მოსამსახურე რომაელი ლეგიონერები ვალდებული იყვნენ შეესწავლათ ე.წ. თამაში „ჰარპასტუმი“, რათა სულ მუდამ მზად ყოფილიყვნენ და სხვადასხვა საბრძოლო ელემენტის დასამუშავებლად ვარჯიში გაადვილებოდათ. სწორედ რომაელი ლეგიონერები იყვნენ იმის მოთავენი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მიჯნაზე „ჰარპასტუმი“ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეიტანეს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სწრაფად შეისწავლეს და აითვისეს რომაული თამაში; იგი ინგლისში დამკვიდრდა, საკმაოდ პოპულარული გახდა, თანდათან სპორტის სახალხო სახეობად იქცა და მიიღო გამოკვეთილი ინგლისური სახელწოდება „Football“. იმ დროს სტაბილური სათამაშო მოედნები არ იყო. თამაშობდნენ ქუჩებში და, საერთოდ, ყველგან, სადაც მოესურვებოდათ. ინგლისის მმართველი წრეები და ეკლესია იმხანებში ყოველთვის როდი იყო კეთილგანწყობილი ფეხბურთისადმი, მალე კი უარესიც მოხდა: დღემდე შემონახულია დოკუმენტები ფეხბურთის აკრძალვის შესახებ, აპატიმრებდნენ კიდეც მოთამაშეებს. მაგრამ ფეხბურთს არსებობა არ შეუწყვეტია. მართალია, გარკვეული დროის მანძილზე მან დაკარგა თავისი მასობრივი ხასიათი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინგლისის სკოლებში. გასული საუკუნის ორმოციან წლებში ინგლისში შეიქმნა ფეხბურთის სკოლისგარეშე კლუბები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში.

ფეხბურთის ბაზა თანდათანობით მომძლავრდა. ორგანიზებული კომპლექსების კავშირები, რომლებიც ერთმანეთთან ფეხბურთით იყვნენ დაკავშირებული, საზოგადოებრიობისა და ხალხისათვის უფრო საინტერესო და შემოქმედებითი გახდა; ამიტომ საჭირო შეიქნა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო. სწორედ ამან განაპირობა, რომ 1863 წლის 20 ოქტომბერს ინგლისში დაარსდა ფეხბურთის ასოციაცია.

ინგლისიდან ფეხბურთი გავრცელდა ჯერ ბრიტანეთის კუნძულებზე, სადაც ასევე წარმოიშვა წამყვანი ორგანოები. უკვე 1873 წელს შეიქმნა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, 1875 წელს – უელსის ფეხბურთის ასოციაცია, და ბოლოს, 1880 წელს დიდი ბრიტანეთის კუნძულების ბაზაზე გაერთიანდა ყველა პატარ-პატარა კავშირი და ერთიან ასოციაციად ჩამოყალიბდა, რომელსაც ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ეწოდა. დამოუკიდებელი ირლანდიის შექმნის შემდეგ კი ფეხბურთის ასოციაცია შუაზე გაიყო. მას შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე ფეხბურთის საქმიანობას წარმართავს ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, რომლის ცენტრი გახდა ქალაქი ბელფასტი, ხოლო დამოუკიდებელი ირლანდიის ტერიტორიაზე სპორტის ამ სახეობას 1924 წლიდან ხელმძღვანელობს ახალი ასოციაცია, რომლის ცენტრი ქალაქ დუბლინშია.

დიდი ბრიტანეთის კუნძულებიდან ფეხბურთი თავდაპირველად ევროპის კონტინენტზე შემოვიდა. ფეხბურთის პირველი ასოციაცია 1889 წელს შეიქმნა დანიაში.

ფეხბურთის პოპულარობა შესამჩნევად იზრდებოდა და თანდათან ეს თამაში შემოიჭრა კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც. ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოების რაოდენობა უკვე სოლიდურად გაიზარდა. მათი საერთო მოქმედებისა და კოორდინირების უკეთ წარმართვის მიზნით 1904 წელს შეიქმნა დღევანდელი მსოფლიო საფეხბურთო ცენტრი

– ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია „ფიფა“.

სპორტულ კავშირურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავების, აგრეთვე სისტემატური რეგიონალური ასპარეზობის მიზნით წარმოიშვა სპეციფიკური რეგიონალური პრობლემები, რომელთა ოპერატიულად გადაჭრა ერთიან მსოფლიო ცენტრს ძალზე გაუძნელდა. ფეხბურთის სამყარო იძულებული შეიქნა დანაწევრებულიყო რამდენიმე კონფედერაციად, რომელთაგან თითოეული გააერთიანებდა ფეხბურთის ასოციაციებს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ფარგლებში მოქცეულ ოლქებად. ცალკეული ქვეყნების ეროვნული ასოციაციები შემდგომში მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის – ფიფას წევრები გახდნენ.

ფეხბურთის საკონტინენტთაშორისო ექვსი კონფედერაციიდან ისტორიულად ყველაზე დიდი ხნისაა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია „კონმებოლი“. მისი არგენტინული ასოციაცია ჯერ კიდევ 1893 წელს დაარსდა.

ფეხბურთის წესების განვითარება

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თამაშის წესები ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი. სკოლები და ქალაქები ფეხბურთს თამაშობდნენ საკუთარი წესებით. თუმცა ეს ადგილობრივი წესები თავიანთი შინაარსითა და მდგომარეობით ერთი ძირითადისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ. გუნდები თამაშის დაწყებამდე ვალდებული იყვნენ წინასწარ შეთანხმებულიყვნენ გარკვეული წესების დასაცავად. პირველი ცდა თამაშის წესების ერთიან სისტემაში თავმოსაყრელად მოხდა 1848 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, ამ წესებს (ე.წ. „კემბრიჯული წესები“) ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით 1862 წელს ქალაქ უპნინჰემის პროფესორმა ფრინგმა შეადგინა 8-პუნქტიანი თამაშის წესები. პროფესორ ფრინგის წესები ძირითადად ეხებოდა სადავო საკითხებს, ხოლო არასადავო საკითხები შენიშვნებშიც კი არ იყო მოხსენებული.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პირველი ამოცანა იყო საერთო აზრის შექმნა თამაშის წესების ირგვლივ. საჭირო გახდა შეემუშავებინათ ერთიანი ნორმა, რომელიც ყველა ორგანიზაციისათვის მისაღები იქნებოდა. ოქტომბერ-დეკემბერში გამართულ ხუთ სხდომაზე პროფესორ ფრინგის წესების საფუძველზე საბოლოოდ დააზუსტეს და მიიღეს ფეხბურთში პირველი ოფიციალური წესები, რომლებიც 1863 წლის 8 დეკემბრიდან დაკანონდა და ძალაში შევიდა. ამ წესებშიც ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი ღიად დარჩა. 8 დეკემბრის დებულება 15 პუნქტისაგან შედგებოდა.

1882 წლამდე ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აუცილებელ ცვლილებებსა და დამატებებს ახდენდა. ფეხბურთის ასოციაციის შექმნის შემდეგ შოტლანდიაში, უელსსა და 1882 წელს ირლანდიაში დაარსდა სპეციალური ორგანო – ფეხბურთის წესების საერთაშორისო კომიტეტი. სხდომას წარმართავდა ბრიტანეთის ასოციაციის ოთხი წარმომადგენელი. ამ ორგანოს გადაწყვეტილება ყველასათვის მისაღები და აუცილებელი იყო.

1904 წელს ფიფას დაარსების შემდეგ ბრიტანეთის გარე ქვეყნების ფეხბურთმა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა მოიპოვა საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ ფიფამ, როგორც იქნა, მიაღწია მონაწილეობა მიეღო ფეხბურთის წესების საერთაშორისო კომიტეტის მუშაობაში და თავისი სიტყვა ეთქვა. პირველი გამარჯვება მან მოიპოვა მხოლოდ 1913 წელს, როცა საერთაშორისო კომიტეტის შემადგენლობას დაემატა ფიფას ერთი წარმომადგენელი ხმის უფლებით. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ფიფას წევრთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ძალთა თანაფარდობა ბრიტანეთსა და დანარჩენ ასოციაციათა შორის სულ უფრო ხელსაყრელი ხდებოდა ფიფასთვის. ამიტომ 1957 წელს საფუძვლიანად შეიცვალა საერთაშორისო კომიტეტის სტრუქტურა და ასევე ცალკეული დელეგატების დებულება.

ისტორიული რაკურსი

თავისუფალი დოქტორი

2011 წლის 4 დეკემბერს სან პაულუს „კორინთიანსმა“ 0:0 ითამაშა თანაქალაქელ „პალმეირასთან“ და ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ბრაზილიის ჩემპიონი გახდა. იმ დღეს გამთენიისას, ალბერტ აინშტაინის სახელობის ჰოსპიტალში გარდაიცვალა ბრაზილიისა და „კორინთიანსის“ ლეგენდარული ფეხბურთელი სოკრატეს ბრაზილიერო დე ოლივეირა ანუ უბრალოდ სოკრატესი.

აღნიშნული მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო და არც „კორინთიანსის“ გამარჯვება აღუნიშნავთ განსაკუთრებულად სან პაულუში. იმ დღეს ამ ქალაქში და სრულიად ბრაზილიაში გლოვა იყო...

„ყველა კორინთიანსელისთვის მძიმე დღეა – ჩვენ სიმბოლო დავკარგეთ. ჩემპიონის ტიტული ყველაზე უმნიშვნელო რამაა, რაც მისთვის გავაკეთეთ“, – თქვა ლიედსონმა, კლუბის საუკეთესო თავდამსხმელმა.

სოკრატესმა თავისი საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი სამშობლოში გაატარა, – მხოლოდ 1984-85 წლებში ითამაშა ფლორენციის „ფიორენტინაში“, მაგრამ ბრაზილიის გარეშე დიდხანს ვერ გაძლო და საკუთარ ქვეყანას დაუბრუნდა. მას არ მოეწონა მატჩის შესვენების დროს სიგარის მოწევა, რომ აუკრძალეს – ვერც ლუდზე თქვა უარი...

სოკრატესი სულ სხვა „თარგზე ჩამოსხმული“ ფეხბურთელი იყო. იგი თავისი რესპექტაბელური იერით, თავისუფალი მეამბოხე სულისკვეთებით და ინტელექტუალური, ელეგანტური თამაშის მანერით ყველასგან გამოირჩეოდა. მას ფეხბურთელისთვის უჩვეულო აღნაგობა ქონდა და სიმაღლით უფრო სპორტის სხვა სახეობას შეეფერებოდა. 193 სმ-იანი სოკრატესი, რომელიც ჩე გევარასეული

წვერით დაჰქროდა მწვანე მინდვრებზე – მაღალი დონის საშემსრულებლო ოსტატობით ხიბლავდა ტექნიკური ფეხბურთის მოყვარულ უამრავ გულშემატკივარს და ოთხმოციანი წლების მსოფლიოს ერთერთ გამორჩეულ მოთამაშედ სრულიად სამართლიანად ითვლებოდა.

სოკრატესი მოედნის მიღმაც არაერთი ღირსეული თვისებით გამოირჩეოდა. მასზე თავის დროზე ტელე სანტანამ ასეთი რამ თქვა: „პირველსავე სანაკრებო შეკრების დროს მიიქცია საყოველთაო ყურადღება. ის ნოვატორი იყო – აზრის გამოთქმას არ ერიდებოდა. იგი სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, თანაგუნდელებს არ ეკამათებოდა. სოკრატესი თავის თანაგუნდელებს პრობლემის არსს დაწვრილებით, თანმიმდევრული სიზუსტით

უხსნიდა, რიგ შემთხვევებში ორ-სამ სიტყვას იტყოდა და ნაკრებიც მზად მყავდა. მისთვის კაპიტნის სამკლავური ზედგამოჭრილი იყო“

მიუხედავად იმისა, რომ ტელე სანტანას მიერ გაწვრთნილი ბრაზილიის ნაკრები, რომლის კაპიტანიც სოკრატესი გახლდათ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა – საყოველთაო მოსაზრებით ის გუნდი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა.

სოკრატესის თაობის ფეხბურთელების კუმირები პელე და გარინჩა იყვნენ, ხოლო სელესაოს კაპიტ-

ნისთვის მისაბაძ ხალხს: ფიდელ კასტრო, ჩე გევარა და ჯონ ლენონი წარმოადგენდნენ... „კასტრო, ჩე და ლენონი ყველაზე თავისუფალი ხალხია, ცხოვრების აზრი კი სწორედ ამაშია“, – ამბობდა თავადაც თავისუფლების სულისკვეთებით განმსჭვალული სოკრატესი.

სანამ მედიცინის დოქტორის ხარისხი არ მოიპოვა, უნივერსიტეტში სწავლა არ დაასრულა. ის ქვეყნის პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩართული და იბრძოდა რათა ბრაზილიაში ათწლეულების განმავლობაში გაბატონებული დიქტატორული რეჟიმი დამარცხებულიყო: მიუხედავად ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის აკრძალვისა, სოკრატესის ინიციატივით შეგულიანებული ფეხბურთელები 1982 წლის ნოემბერში, ჩემპიონატის მატჩების დროს მაისურებზე წარწერით მოუწოდებდნენ გულშემატკივრებს მოახლოებულ არჩევნებში აქტიურობისკენ. წლის ბოლოს, როდესაც „კორინთიანსმა“ სან პაულუს შტატის ჩემპიონატი მოიგო, მოთამაშეებს მაისურებზე სიტყვა „დემოკრატია“ ეწერათ.

საფეხბურთო ბიბლიოთეკა

დიდი მანუჩარი

ნაწყვეტი

გვინდა შემოგთავაზოთ სპორტული ცხოვრების თემაზე არაერთი თვალსაჩინო წიგნის ავტორის მინდია მოსაშვილის ერთ-ერთი ნარკვევიდან ამონარიდი. მის ამ ვრცელ ნარკვევს „დიდი მანუჩარი“ ეწოდება, რომელშიც თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული კაპიტნის მანუჩარ მაჩაიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სპორტული მოღვაწეობის ძირითადი ეტაპებია აღწერილი.

გოლი „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე

ცხრაას სამოცდათორმეტი წლის გაზაფხული. პარიზი. „პარკ დე პრენსის“ სტადიონი. ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრები გუნდები.

თბილისის „დინამოდან“ ჩვენს გუნდში თამაშობდა მანუჩარ მაჩაიძე. იგი, როგორც ყოველთვის, ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა.

პირველი ტაიმის მიწურულს მანუჩარმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე ფრანგების მორიგი შეტევა ჩაშალა და ბურთს დაეუფლა. უმალ მოედნის ცენტრისაკენ გაჭრილმა ქართველმა ნახევარმცველმა ძალზე ლამაზად მოატყუა რამდენიმე მოთამაშე და როგორც კი ცენტრალურ რკალში შედგა ფეხი, მთელი ძალით დაარტყა კარში.

ეს უძლიერესი „ყუმბარისებური“ დარტყმა განხორციელდა დაახლოებით ოცდათხუთმეტი მეტრიდან.

მასპინძელთა მეკარის თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა – ბურთი კარის მაღლა კუთხეში, „ცხრიანში“ გავიდა.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე გადავიდა, რომელნიც თამაშის ბოლომდე უტევდნენ მეტოქეს და გაიმარჯვეს კიდეც – ანგარიშით 3:1.

„საბჭოთა გუნდის ნახევარმცველის მანუჩარ მაჩაიძის მიერ მინდვრის ცენტრის კიდევ ცოტა იქიდან გატანილი ბურთი – ფანტასტიკური გოლების რიცხვს განეკუთვნება“. – წერდა ერთი ცნობილი ფრანგი სპორტული მიმომხილველი.

თვით მანუჩარმა პარიზში გატანილი ამ გოლის შესახებ ერთხელ მითხრა:

– მართალია, ძალზე ძლიერად დავარტყი, მაგრამ ეს იმდენად შორი მანძილიდან მოხდა, რომ სანამ ბურთი კარისაკენ მიქროდა, მოვასწარი გაფიქრება, ისე კოხტად მომაჯდა ტერფზე, ისე გემრიელად დავარტყი, დიდი უსამართლობა იქნება, არ გავიდეს-მეთქი.

რა გოლი იყო, რა გოლი!

ცხრაას სამოცდათექვსმეტი წლის საგაზაფხულო საკავშირო ჩემპიონატი, როცა ჩვენი ქუდბედიანი ნოდარ ახალკაცის მეთაურობით მესამე ადგილზე გავედით – რამდენიმე წლის წარუმატებლობისა და ჩავარდნების შემდეგ.

აი, სწორედ ის ჩემპიონატია და ვეთამაშებით დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ აქ, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე.

თამაში დამთავრდა ქართველი ფეხბურთელების დიდი გამარჯვებით.

მატჩში სულ ექვსი გოლი გავიდა, ხუთი – „დნეპრის“ კარში, ერთი – „დინამოს“ კარში.

მაგრამ იმ ექვსი გოლიდან ის ერთი სულ სხვა იყო, სულ სხვა, ისეთთაგანი, რომელიც რაც დრო გადის, დავიწყებას კი არ მიეცემა, პირიქით, ახალი ელფერით შეიმოსება და მერე ასე გგონია, გუშინ ვნახეო.

ვახტანგ ქორიძემ მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში შორი მანძილიდან. „დნეპრის“ ერთ-ერთმა მცველმა დიდი გაჭირვებით მოიგერია ეს ტყვიასავით ბურთი, რომელსაც საჯარიმო მოედნის შორიახლო მანუჩარი დაეუფლა. სტუმართა მცველებმა წამითაც არ დააყოვნეს, უმალ მასპინძელთა კაპიტანს მიაშურეს და, აი, სწორედ მაშინ მოხდა სასწაული.

მთელი სისწრაფით ამოქმედებულმა მანუჩარმა ჯერ ერთ მცველს გადაუგდო თავს ზემოთ ბურთი, მერე ისე, რომ იგი მიწაზე არ დაუშვია, მეორე მცველთან გაიმეორა ყველაფერი, მერე მესამესთან, მერე მეოთხესთან, კარიდან მის შესახვედრად გამოსულ მეკარესთანაც

საფეხბურთო ბიბლიოთეკა

გაიმეორა იგივე და... ბურთიც ბადეში ჩაეშვა. ჰო, ბურთი ისე ჩაეშვა ბადეში, მთელი ამ ეპიზოდის მანძილზე ერთხელაც არ შეხებია მიწას.

ამ გოლის შემდეგ დიდხანს, ძალიან დიდხანს ქუხდნენ და გრგვინავდნენ მანუჩარ მაჩაიძის დიდებული ოსტატობით აღფრთოვანებული ტრიბუნები.



აქა ამბავი ტარიელისა

როცაკი ამ ეპიზოდს გავიხსენებ, უნებურად დამიდგება ხოლმე თვალწინ ის ერთი ნახელავი ჩვენი შესანიშნავი მხატვრის სერგო ქობულაძისა – მის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის“ შექმნილი ილუსტრაციების სერიიდან:

მახვილშემართული ტარიელი კენტად შეჰბმია ქაჯთა ურიცხვ ლაშქარს და მუსრს ავლებს მათ.

რომელი ეპიზოდი მაქვს მხედველობაში?

რომელი მატჩიდან?

ვისაც აღარ გახსოვთ, – გაგახსენებთ.

ვისაც არ გინახავთ, – გიამბობთ.

მაშ, ასე. ეს მოხდა ცხრაას სამოცდათექვსმეტი წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის მიწურულს, ივლისის დასაწყისში, აქ, თბილისში, როცა ჩვენი ბიჭები მოსკოვის „ტორპედოს“ ხვდებოდნენ.



„დინამოს“ ჰაერივით სჭირდებოდა ორი ქულა, არანაკლებ სჭირდებოდა იგი „ტორპედოსაც“. ამიტომ მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა.

აი, მეორე ტაიმის მეორე ნახევარიც დაიწყო, მაგრამ ანგარიში არ გაიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს აქამდე გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ.

აქედან მოყოლებული კი, დინამოელებმა, თითქოს გამარჯვების რწმენა დაკარგესო, როგორღაც ხელჩაქნევით, დაუდევრად დაიწყეს თამაში. ისინი მოდუნდნენ, მოეშვნენ, თანდათან სტუმრებს გადაულოცეს ინიციატივა.

ერთხანს სახიფათოდ გვიტევენ ტორპედოელები. ჩვენს საჯარიმო მოედანს არ სცილდებიან, რასაც თბილისის „დინამოს“ მიმართ ტრიბუნების პროტესტული განწყობილება, – გაბმული სტვენა და გუგუნი, – ერთვის.

და, აი, ამ დროს, ამ კრიტიკულ წუთებში, როცა თამაშის სადავეები მეტოქეს ეპყრა ხელთ და თბილისელთა კარი განუწყვეტელ საფრთხეში იყო, – კვლავ იჩინა თავი მათი კაპიტნის მხნეობამ და შემართებამ, ბრძოლისაკენ, შეტევისაკენ მოწოდებას რომ ჰგავდა.

მანუჩარი – მოსკოველთა ერთ-ერთი მწვავე შეტევის დროს – თავიანთ საჯარიმო მოედანზე, ზედ „პენალტის“ ნიშნულზე, დაეუფლა ბურთს, უმალ წინ გაიჭრა და მინდვრის შუაგულს ისე მიაღწია, სამი-ოთხი ტორპედოელი მოატყუა.

მაგრამ მანუჩარს ბრძოლის ჟინი და ცეცხლი ამით არ განელებია. მან გზა განაგრძო და სანამ სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრებოდა და თავისუფალ პარტნიორს გადასცემდა ბურთს, თავისი სწორუპოვარი თამაშით იმ მწვანე მინდორზე კიდევ ერთი ისეთი სურათი დახატა, ტარიელისა და ქაჯთა ლაშქრის უთანასწორო შერკინების ქობულაძისეულ ნაფუნჯარს რომ მაგონებს ხოლმე მუდამ.

აი, ეს სურათი:

მანუჩარის ფეხით, ირგვლივ, მის მიერ მოტყუებული ტორპედოელები წვანან გროვად, თავად მანუჩარი კი ფრთხილად მიიკვლევს გზას წაქცეულთა თავ-ტან-ფეხს შორის.

ამ შეტევას გოლი მოჰყვა, ხოლო იმ გოლს კიდევ გოლი.

მანუჩარ მაჩაიძის მხნეობამ და შემართებამ ასე მოუტანა გამარჯვება თბილისელებს – იმ მათთვის უკვე იმედგადაწურულ მატჩში.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალები

მომავალ წელს ბრაზილიაში მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება. ყველაფერი კი შორეულ 1930 წელს დაიწყო. წარმოგიდგენთ ცხრამეტივე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს.



30.07.1930. ურუგვაი, მონტევიდეო. სტადიონი „სენტენარიო“. 76 819 მაყურებელი.

ფინალი: ურუგვაი - არგენტინა 4:2 (1:2)

გოლები: დორადო (ურუგვაი-13), პეუსელე (არგენტინა-20), სტაბილე (არგენტინა-39), სეა (ურუგვაი-58), ირიარტე (ურუგვაი-68), კასტრო (ურუგვაი-87).

10.06.1934. იტალია, რომი. სტადიონი „PNF nacionale“. 50 000 მაყურებელი.

ფინალი: იტალია - ჩეხოსლოვაკია 2:1 (0:0. 1:1) დ.დ.

გოლები: პუჩი (ჩეხოსლოვაკია-71), ორსი (იტალია-81), სკიავიო (იტალია-95).

19.06.1938. საფრანგეთი, პარიზი. სტადიონი „კოლომბო“. 60 000 მაყურებელი.

ფინალი: იტალია - უნგრეთი 4:2 (3:1)

გოლები: კოლაუსი (იტალია-5, 35), ტიტკოში (უნგრეთი-7), პიოლა (იტალია-16, 82), შაროში (უნგრეთი-70).

16.07.1950. ბრაზილია, რიო-დე-ჟანეირო. სტადიონი „მარაკანა“. 203 849 მაყურებელი.

გადამწყვეტი მატჩი: ურუგვაი - ბრაზილია 2:1 (0:0)

გოლები: ფრიასა (ბრაზილია-48), სკიაფინო (ურუგვაი-67), გიჯა (ურუგვაი-79).

04.07.1954. შვეიცარია, ბერნი. სტადიონი „ვანკდორფშტადიონი“. 65 000 მაყურებელი.

ფინალი: გფრ - უნგრეთი 3:2 (2:2)

გოლები: პუშკაში (უნგრეთი-6), ციბორი (უნგრეთი-8), მორლოკი (გფრ-10), რანი (გფრ-19, 84).

29.06.1958. შვედეთი, სტოკჰოლმი. სტადიონი „რასუნდა“. 49 737 მაყურებელი.

ფინალი: ბრაზილია - შვედეთი 5:2 (2:1)

გოლები: ლინდჰოლმი (შვედეთი-5), ვავა (ბრაზილია-9, 32), პელე (ბრაზილია-55, 90), ზაგალო (ბრაზილია-67), სიმონსონი (შვედეთი-80).

17.06.1962. ჩილე, სანტიაგო. სტადიონი „ნასიონალი“. 68 679 მაყურებელი.

ფინალი: ბრაზილია - ჩეხოსლოვაკია 3:1 (1:1)

გოლები: მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია-15), ამარილდო (ბრაზილია-17), ზიტო (ბრაზილია-69), ვავა (ბრაზილია-78).



30.07.1966. ინგლისი, ლონდონი. სტადიონი „უემბლი“. 97 000 მაყურებელი.

ფინალი: ინგლისი- გფრ 4:2 (1:1. 2:2) დ.დ.

გოლები: ჰალერი (გფრ-12), ჰერსტი (ინგლისი-18, 100, 120), პიტერსი (ინგლისი-78), ვებერი (გფრ-90).

21.06.1970. მექსიკა, მეხიკო. სტადიონი „აცტეკა“. 107 412 მაყურებელი.

ფინალი: ბრაზილია - იტალია 4:1 (1:1)

გოლები: პელე (ბრაზილია-19), ბონინსენია (იტალია-38), გერსონი (ბრაზილია-66), ჟაირზინიო (ბრაზილია-70), კარლოს ალბერტო (ბრაზილია-87).

07.07.1974. გფრ, მიუნხენი. სტადიონი „ოლიმპიაშტადიონი“. 75 200 მაყურებელი.

ფინალი: გფრ - ჰოლანდია 2:1 (2:1)

გოლები: ნეესკენსი (ჰოლანდია-2 ‘პენალტით’), ბრაიტნერი (გფრ-25 ‘პენალტით’), მიულერი (გფრ-43).

25.06.1978. არგენტინა, ბუენოს-აირესი. სტადიონი „რივერ პლეიტი“ 80 000 მაყურებელი.

ფინალი: არგენტინა - ჰოლანდია 3:1 (1:0. 1:1) დ.დ.

გოლები: კემპესი (არგენტინა-38, 105), ნანინგა (ჰოლანდია-81), ბერტონი (არგენტინა-114).

11.07.1982. ესპანეთი, მადრიდი. სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“. 90 000 მაყურებელი.

ფინალი: იტალია - გფრ 3:1 (0:0)

გოლები: როსი (იტალ-

ია-57), ტარდელი (იტალია-69), ალტობელი (იტალია-81), ბრაიტნერი (გფრ-83).

29.06.1986. მექსიკა, მეხიკო. სტადიონი „აცტეკა“. 114 600 მაყურებელი.

ფინალი: არგენტინა - გფრ 3:2 (1:0)

გოლები: ბრაუნი (არგენტინა-23), ვალდანო (არგენტინა-55), რუმენიგე (გფრ-74), ფიოლერი (გფრ-80), ბურუჩაგა (არგენტინა-83).

08.07.1990. იტალია, რომი. სტადიონი „ოლიმპიური“. 73 603 მაყურებელი.

ფინალი: გფრ - არგენტინა 1:0 (0:0)

გოლი: ბრემე (გფრ-84 ‘პენალტით’)

17.07.1994. აშშ, ლოს ანჯელესი. სტადიონი „როუზ ბოული“ 94 194 მაყურებელი.

ფინალი: ბრაზილია - იტალია 0:0. პენ. 3:2

12.07.1998. საფრანგეთი, სენ-დენი. სტადიონი „სტად დე ფრანსი“. 80 000 მაყურებელი.

ფინალი: საფრანგეთი - ბრაზილია 3:0 (2:0)

გოლები: ზიდანი (საფრანგეთი-27, 45), პეტი (საფრანგეთი-90).

30.06.2002. სამხ. კორეა-იაპონია, იოკოჰამა. სტადიონი „ინთერნეიშენალი“. 69 029 მაყურებელი.

ფინალი: ბრაზილია - გერმანია 2:0 (0:0)

გოლები: რონალდო (ბრაზილია-67, 79).

09.07.2006. გერმანია, ბერლინი. სტადიონი „ოლიმპიაშტადიონი“. 69 000 მაყურებელი.

ფინალი: იტალია - საფრანგეთი 1:1 (1:1) პენ. 5:3

გოლები: ზიდანი (საფრანგეთი-7 ‘პენალტით’), მატერაცი (იტალია-19).

11.07.2010. სამხრეთ აფრიკა, იოჰანესბურგი. სტადიონი „სოკერ სიტი“. 84 490 მაყურებელი.

ფინალი: ესპანეთი - ჰოლანდია 0:0 (0:0. 1:0) დ.დ.

გოლი: ინიესტა (ესპანეთი-116).

13.07.2014. ბრაზილია, რიო-დე-ჟანეირო. სტადიონი „მარაკანა“

ფინალი: ?:?

გოლები: ?

დიდი მატჩების ლეგენდები

ჩონალდინიოს ჯადო-ბოლი

ბრაზილიელმა რონალდინიომ სამხრეთ კორეაში და იაპონიაში გამართული მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი შთამბეჭდავად ჩაატარა, ხოლო მეოთხედფინალური მატჩი მის სრულ ბენეფისად იქცა. მან ამ შეხვედრაში ყველაფერი მოასწრო. ბრაზილია როდესაც ერთი ბურთის სხვაობით მარცხდებოდა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, რონალდინიომ მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო, ინგლისელი ფეხბურთელები გააბითურა და გამოზომილი პასი შეასრულა, რომელიც რივალდომ გოლით დააგვირგვინა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი მან ჩემპიონატის ულამაზესი გოლი გაიტანა, არახელსაყრელი პოზიციიდან იმდენად ძლიერად და ზუსტად გაგზავნა ბურთი ინგლისელთა მეკარის დევიდ სიმენის კარში, რომ ამ უკანასკნელმა ტყავის მრგვალ საგანს მხოლოდ მზერაღა გააყოლა. გატანილი გოლიდან რვა წუთში მსაჯმა რონალდინიო გააძევა. მატჩის შემდგომ



ამ ფანტასტიკური გოლის შესახებ ბრაზილიელი იტყვის: „როდესაც საჯარიმოს დასარტყმელად გავემზადე, კაფუ მომიახლოვდა, კარიდან საკმაოდ შორს გამოსულ სიმენზე მიმითითა და პირდაპირ კარში დარტყმა მირჩია. გამოცდილი თანაგუნდელის რჩევა გავითვალისწინე და რაც გამოვიდა, თავადაც ნახეთ“.

ფეხბურთის სათამაშო მოედანი


90-120მ
45-90მ
40.3მ
16.5მ
5.5მ
11მ
9.15მ
1მ
5.5მ
11მ
9.15მ
ფეხბურთის
ცენტრალური
ცენტრალური
ფეხბურთის
ბურთი
ბურთი
ბურთი

მაგალითი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს...

ნოემბერში ქართული ფეხბურთისათვის ერთი მეტად სასიხარულო ფაქტი მოხდა. ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, თბილისში „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეგიდით გამართულმატჩში-ჰოლანდიის 19-წლამდელთა ძლიერი გუნდი დაამარცხა. მე-11 შესარჩევ ჯგუფში ქართველმა ფეხბურთელებმა ყველა თამაში მოიგეს, პირველი ადგილი დაიკავეს და ელიტ რაუნდში გავიდნენ. ვულოცავთ ვასილ მაისურაძის შეგირდებს ამ შესანიშნავ წარმატებას და იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში ეს გამართული გუნდი ეროვნულ ნაკრებს შესამჩნევად გააძლიერებს.



ჰოლანდიელთა კარში გამარჯვების გოლის ავტორი გიორგი აბურჯანია.

მე-11 ჯგუფის საბოლოო ცხრილი:

№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ/სხვ.	ქ
1.	საქართველო	3	3	0	0	9:2	9
2.	უელსი	3	1	1	1	7:5	4
3.	ჰოლანდია	3	1	1	1	4:2	4
4.	მოლდოვა	3	0	0	0	0:11	0



ეროვნული ყურნალი ოქვენი პატარებისათვის. მოიკითხეთ ბრესის გაყრცელების ობიექტებში.

ერთი ღამე და მთელი ცხოვრება

აკაკი ბედოიძე

წიგნის მოყვარულებს ვთავაზობთ აკაკი ბედოიძის წიგნს – „ერთი ღამე და მთელი ცხოვრება“. იყიდება წიგნების მაღაზიებში: „პარნასი“ (თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. 22) და „სამშობლო“ (თბილისი, ყაზბეგის პროსპექტი №4)

წიგნის თაროთ

თევდორე

გამოვიდა ვახტანგ ხუციშვილის ნოველა „თევდორე.“

კომპაქტდისკზე ჩაწერილ ვიდეორგოლთან ერთად. წიგნი იყიდება „ბიბლუსის“ წიგნების მაღაზიათა ქსელში თბილისშიც და რეგიონებშიც.

თასები

კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის თასი

კონფედერაციის თასი

კოპა ამერიკის თასი

ჩემპიონთა ლიგის თასი

კოპა ლიბერტადორესის თასი

მსოფლიო ჩემპიონატის თასი

მსოფლიო ჩემპიონატის ძველი ნიკეს თასი

ევროპის ჩემპიონატის თასი

ევროპის თასების მფლობელთა თასი

ევროპის სუპერთასი

უეფას თასი (ამჟამად ევროპის ლიგის თასი)

სტადიონები

მარაკანა, ბრაზილია, რიო დე ჟანეირო.

სანტიაგო ბერნაბეუ, ესპანეთი, მადრიდი.

სან სირო, იტალია, მილანი.

ლა ბომბონერა, არგენტინა, ბუენოს აირესი.

უემბლი, ინგლისი, ლონდონი.

სენტენარიო, ურუგვაი, მონტე ვიდეო.



კამპ ნოუ, ესპანეთი, ბარსელონა.



ალიანს არენა, გერმანია, მიუნხენი.

ექსტაზი



საფეხბურთო ტვინსაღრღნელი

1) ვინ იყო მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი?

2) დაასახელეთ კლუბი, რომელმაც 1999 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

3) მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში რომელ ფეხბურთელს აქვს ერთ მატჩში გატანილი ორი ავტოგოლი?

4) 1994 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონა“ და „მილანი“ წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. იმ მატჩში ანგარიში – 4:0 დაფიქსირდა. ვისი გამარჯვებით დასრულდა აღნიშნული თამაში?

5) რა ერქვა სტადიონს, სადაც 1930 წელს – პირველი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი გაიმართა?

6) დაასახელეთ ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში – როტერდამის „ფეიენოორდს“ ორი გოლი გაუტანა.

7) დაასახელეთ იტალიელი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

8) თბილისის „დინამოს“ რამდენჯერ აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოგებული?

9) ტურინის „იუვენტუსს“ რამდენჯერ აქვს უეფას თასი მოგებული?

10) რომელი ქვეყნის კლუბებს აქვთ ყველაზე მეტჯერ „კოპა ლიბერტადორესი“ მოგებული?

11) რომელი ქვეყნის ნაკრები გახდა 1988 წელს ევროპის ჩემპიონი?

„კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო ტვინსაღრღნელის“ პასუხები:

1) აიაქსი. 2) ლიტვა. 3) 1916 წ. 4) გილერმო სტაბილე. 5) ჯორჯ ბესტი. 6) სლავა მეტრეველი. 7) სოშო. 8) ეტრუსკო უნიკო. 9) მანუჩარ მაჩაიძე. 10) გელა კეტაშვილი. 11) ჰელმუტ შიონი.

„კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო კროსვორდის“ პასუხები.

თარაზულად: 1)-ლორია. 2)-ოდო. 3)-გრანტი. 4)-უმბრო. 5)-სალენკო. 6)-მატეო. 7)-გროსო. 8)-ალდაირი. 9)-ტაიტი. 10)-მურსია. 11)-არენა. 12)-როი.

შვეულად: 1)-ალეგრი. 2)-სირიგუ. 3)-დინამო. 4)-აფრიკა. 5)-სანტანა. 6)-ბრემე. 7)-ოლბორგი. 8)-ჰიმნი. 9)-ტოსტაო. 10)-ბროკი. 11)-მსაჯი. 12)-უემბლი. 13)-ინტერი. 14)-ფალკაო.

პირველად ქართულ ენაზე გამოვიდა მარგარეტ მიტჩელის ცნობილი რომანი „ქარწაღებულნი“.



„ადიდასის“ ბურთი „ტანგო“, მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი, არგენტინა -1978 წელი.
არგენტინელი ოსვალდო არდილესი ჰოლანდიელთა გარემოცვაში.

ISSN 2298-0970

9 772298 097000